დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109260904**
თარიღი:**31/03/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო ფირმა გრინ ველს“ შორის 2017 წლის 19 ივნისს დადებული „იჯარის ხელშეკრულება N7”-ში ცვლილების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 19 მარტის N108-1082607836 წერილისა და შპს „აგრო ფირმა გრინ ველის“ წარმომადგენლის ლევან ტყეშელაშვილის (პ/ნ 01016001192) 2026 წლის 26 თებერვლის N19/1082605792-108 განცხადების საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისი მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო ფირმა გრინ ველს“ (ს/კ 406182946) შორის 2017 წლის 19 ივნისს დადებული „იჯარის ხელშეკრულება N7”-ში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის შეთანხმება N1).

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შეთანხმება N1

2017 წლის 19 ივნისს დადებული იჯარის ხელშეკრულება N7-ში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. დმანისი _____ წელი

ერთის მხრივ, შპს ,,აგრო ფირმა გრინ ველი" (პ.ნ 406182946) (შემდგომში ,,მოიჯარე") წარმოდგენილი დირექტორის ლევან ტყეშელაშვილის (პ.ნ 01016001192) სახით და მეორეს მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით (შემდგომში ,,მესაკუთრე") დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის ___ _____ N_____ განკარგულებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ___ _____ N_____ ბრძანების შესაბამისად შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მხარეთა შორის დადებულ 2017 წლის 19 ივნისის იჯარის ხელშეკრულება N7-ის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2.1 იჯარით აღებული მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა წელიწადში შეადგენს 7000 (შვიდიათასი) ლარს (აღნიშნულ საიჯარო ქირაში არ შედის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი).

2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2017 წლის 19 ივნისს დადებული იჯარის ხელშეკრულება N7-ის განუყოფელ ნაწილს.
3. ხელშეკრულების გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე და ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

,,მესაკუთრე"
დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

კობა მურადაშვილი

,,მოიჯარე"
შპს ,,აგრო ფირმა გრინ ველი" (პ.ნ 406182946)
წარმომადგენელი
ლევან ტყეშელაშვილი

----------კობა მურადაშვილი ----------ლევან ტყეშელაშვილი